

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნის გამოცდისა და
საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირებისთვის

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

თბილისი

2021

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი	3
გეოგრაფიის მასწავლებელთა საგნის გამოცდის პროგრამა	4
დავალების ტიპების აღწერა.....	9
ტესტის ნიმუში.....	12
შეფასების სქემა.....	49
აპლიკანტთა ნაშრომების ანალიზი.....	55

შესავალი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაინტერესებულ პირებს გააცნოს მასწავლებლის საგნის გამოცდის მოთხოვნები და 2021 წლის საგამოცდო პროგრამა. აგრეთვე საგამოცდო ტესტის ნიმუში და შეფასების სქემა, რომელშიც წარმოდგენილია 2020 წლის გამოცდაზე გამოყენებული ტესტი. კრებულში ასევე მოყვანილია აპლიკანტთა მიერ 2020 წლის ტესტის დავალებებზე გაცემული პასუხები და მათი ანალიზი.

2021 წელს ტესტის ფორმატმა განიცადა ცვლილებები. კერძოდ, ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 55 (ნაცვლად 59-ისა), ხოლო ტესტირებისთვის განკუთვნილი დრო - 4 საათი (ნაცვლად 5-ისა). შესაბამისად კრებულში ნიმუშად წარმოდგენილი 2020 წლის გამოცდაზე გამოყენებული 59 ქულიანი ტესტი, ადაპტირებულია 2021 წლის ტესტის ფორმატთან (ამოღებულია დავალება 21 და 22).

კრებულში მოყვანილი ტესტის დავალებები მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის საფუძველზეა შედგენილი.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2021 წლის მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდისათვის მომზადების პროცესში.

საგამოცდო ტესტში არ გამეორდება კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

გეოგრაფიის მასწავლებელთა საგნის გამოცდის პროგრამა

2021 წელი

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული უნარ-ჩვევები	
დრო და სივრცე	<ul style="list-style-type: none"> • რუკის ენის გაგება; რუკის ანალიზი; რუკისა და სხვა თვალსაჩინოებების (სქემა, დიაგრამა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) გამოყენებით ინფორმაციის ანალიზი; • სივრცეში ორიენტირება – ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე; ადგილის მდებარეობის განსაზღვრა; • ლეგენდის გამოყენებით სიმბოლოების აღქმა; • რუკებიდან და სხვა თვალსაჩინოებებიდან (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ) მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება, კანონზომიერებების დადგენა; • რელიეფის, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული მოვლენების, ბუნებრივი რესურსების, განსახლებების, მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების, სოციალური და ეკონომიკური სისტემების, სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის ანალიზი.
გეოგრაფიული ინტერპრეტაცია	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება; • გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისგან განსხვავება; • გავრცელებული გეოგრაფიული სტერეოტიპების კონტრარგუმენტაცია.
კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა; • მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა; • გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა და სხვ.
2. პროფესიული ცოდნა	
გეოგრაფიის შესავალი	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; • გეოგრაფიული ცოდნის განვითარება (ანტიკური ხანა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, თანამედროვე გეოგრაფია); • მოგზაურები და მკვლევარები; • საქართველოსა და მსოფლიოს ნომენკლატურა;

	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული მეცნიერების თანამედროვე სისტემა; • გეოგრაფიული კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერილობითი, შედარებით - გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და თანამედროვე (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული, მოდელირება); • გეოგრაფიული პროგნოზირება; • მდგრადი განვითარების არსი და პერსპექტივა.
<p>გეგმა, რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილის გეგმა (კითხვა და გამოყენება); • სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული რუკები და ატლასები, ტოპოგრაფიული რუკა (რუკის ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, კვატორი, გეოგრაფიული და მაგნიტური პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა (აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები), ანალიზი, ამოცანების შექმნა და გადაჭრა), კურვიმეტრი; • იზოხაზები (იზოჰიფსები, იზობათები, იზოთერმები, იზობარები); • ადგილზე ორიენტირება, კომპასი (გამოყენება, ამოცანების შექმნა და გადაჭრა); • გეოდეზიური ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები (ნიველირი, თეოდოლიტი, GPS); • სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული თვალსაჩინოებების (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა) კითხვა, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა, მათი გამოყენებით დავალებების შექმნა.
<p>საბუნებისმეტყველო გეოგრაფია</p>	<ul style="list-style-type: none"> • დედამიწის ფორმა და სიდიდე; • დედამიწის დღე-ღამური და წლიური მოძრაობა; • სასაათო ზოლები, თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი; • გეოქრონოლოგია (განმარტება, სქემის ანალიზი); • ატმოსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო და ბიოსფერო; • დედამიწის ქერქი, ტექტონიკური ფილების მოძრაობა; • კონტინენტები და მისი ნაწილები (მდებარეობა, ბუნება, რესურსები); • ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; • რელიეფის გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე; • ამინდი და ჰავა; • ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით; • ჰაერის მასები (ატმოსფერული წნევა, ატმოსფერული ფრონტი, ციკლონი, ანტიციკლონი); • სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ბორა, ფიონი);

	<ul style="list-style-type: none"> • წყლის ბრუნვა ატმოსფეროში, ჰაერის ტენიანობა, აორთქლება, აორთქლებადობა; • ღრუბელი, ნისლი და ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები, წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი, ლიპყინული); • კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე); • შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები, წყალსაცავები), საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა რელიეფზე, მიკროკლიმატზე, მოსახლეობაზე, მეურნეობაზე; • ზღვებისა და ოკეანეების მდებარეობა და სიდიდე; მარილიანობა, წყლის ტემპერატურა, სიღრმე, მიქცევა-მოქცევა, დინებები, გავლენა კლიმატზე, ორგანული სამყარო, დაბინძურება, სრუტეები, ყურეები, კუნძულები; • ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება, გავრცელების კანონზომიერება; • ზონალურობა (კლიმატური სარტყლები, ბუნებრივი ზონები და ვერტიკალური ზონალურობა, ფლორა და ფაუნა); • ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და მდგრადი გამოყენება (კლიმატური, ნიადაგის, ჰიდრო, ჰელიო და ეოლური რესურსები, სასარგებლო წიაღისეული); • სტიქიური ბუნებრივი მოვლენები (ქარიშხალი, ტაიფუნი, ქარბორბალა (ტორნადო, სმერჩი), ულკანიზმი, მიწისძვრა, ცუნამი, შტორმი, ყალდილობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, სეტყვა); • სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები და მათი გამოყენების პრინციპი (თერმომეტრი, ფლუგერი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ნალექმზომი, ჰიგრომეტრი, ავტომატური მეტეოსადგურები, ექოლოტი, სეისმოგრაფი); • გარემოს დაცვა (საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (გრინფისი, ველური ბუნების მსოფლიო ფონდი), დაცული ტერიტორიების ტიპები, ბიომრავალფეროვნება).
<p>საზოგადოებრივი გეოგრაფია</p>	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული მდებარეობა; • მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო); • მოსახლეობის გეოგრაფია (მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, მიზეზები და ფაქტორები, ისტორიული და თანამედროვე ნაკადები, იძულებით გადაადგილებული პირები), განსახლების ტიპები და ურბანიზაცია (თავისებურებები, განვითარება); • მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირება; • მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება (ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, ბუნებრივი მატების

	<p>კოეფიციენტები), კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები, განსხვავებები და მსგავსებები ქვეყნების მიხედვით, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა;</p> <ul style="list-style-type: none"> • რეგიონების და ქვეყნების კლასიფიკაცია დემოგრაფიული და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, შობადობის, მოკვდაობის, ჯანდაცვის და განათლების დონის მიხედვით); დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული პოლიტიკა); • მსოფლიოს რეგიონები (კავკასია, ჩრდილოეთი ამერიკა (აშშ და კანადა), ლათინური ამერიკა (კარიბის აუზი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა), ევროპა (ჩრდილოეთი ევროპა, დასავლეთი ევროპა, სამხრეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა), აფრიკა (ჩრდილოეთი აფრიკა (მაღრიბი), დასავლეთი აფრიკა, ცენტრალური აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა სამხრეთი აფრიკა), აზია (ახლო აღმოსავლეთი (მაშრიყი), შუა აზია, სამხრეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთი აზია), ავსტრალია და ოკეანეთი (ავსტრალია და ახალი ზელანდია, მელანეზია, მიკრონეზია, პოლინეზია); • ქვეყნები მმართველობის ფორმისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით; • ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ჰუმანური განვითარების ინდექსი, მშპ, საარსებო მინიმუმი, გლობალიზაციის ინდექსი); • განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები (ჩრდილოეთი და სამხრეთი); • მსოფლიოს სახელმწიფოები: მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება (აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ჩილე, სარ, ავსტრალია, ესპანეთი); • საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია სტატუსისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით (მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სპორტული და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები - გაერო (იუნესკო, იუნისეფი), ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, დსთ, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, ოპეკი, წითელი ჯვარი, სოკი); • გლობალიზაციის პროცესი (გლობალიზაცია, გლოსალიზაცია, ანტიგლობალიზაცია); • უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემები და მათი მოგვარების გზები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ეკოლოგიური); • მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესები.
საქართველოს გეოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> • მდებარეობა და საზღვრები, ტერიტორიის ფორმირება; • მმართველობის ფორმა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა;

- ბუნება (მნიშვნელოვანი ფიზიკურ- გეოგრაფიული მახასიათებლები: კლიმატი, რელიეფი, შიდა წყლები, შავი ზღვა, ნიადაგები, ტყეები, ფლორა და ფაუნა);
- ბუნებრივი და მინერალური რესურსები;
- მოსახლეობა (გეოგრაფია, დემოგრაფია, მიგრაცია, ურბანიზაცია, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა);
- მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; სახასიათო ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები;
- ინფრასტრუქტურა (გზები და კომუნიკაციები (ელექტრო გადაამცემი ხაზები, გაზსადენები და ნავთობსადენები);
- მეურნეობის დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო);
- კულტურული მრავალფეროვნება;
- გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები (ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურების საკითხები; მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა, ქვათაცვენა);
- ბუნების დაცვა (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, დაცული ტერიტორიების გეოგრაფია, სტატუსი, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი და წითელი ნუსხა);
- საქართველოს რეგიონები (კომპლექსური გეოგრაფიული აღწერა სამხარეო დონეზე).

დავალების ტიპების აღწერა

დავალების I ტიპი

- კითხვა არჩევითი პასუხებით

დავალების აღწერა - ვალეებში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი უნდა გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

დავალების პირობა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მოცემულია მოკლე ან მეტ-ნაკლებად ვრცელი შეკითხვა, მოკლე ტექსტი, ფოტო, სურათი, სქემა, გრაფიკი ან დიაგრამა, სხვადასხვა სახის რუკა ან რუკის ფრაგმენტი და ა.შ.

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, რუკებისა და სხვა თვალსაჩინოების ანალიზის, სასწავლო რესურსების გამოყენების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ 2020 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების II ტიპი

- შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემულია ორი სვეტი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალთ. უნდა დადგინდეს ამ ორ ჩამონათვალს შორის შესაბამისობა. ზოგიერთი დავალებისთვის შესაძლებელია პასუხების გამეორება, ზოგისათვის კი - არა.

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს, ასევე ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების/განზოგადების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუშები იხილეთ 2020 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების III ტიპი

- რუკის ანალიზი

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემულია ტოპოგრაფიული რუკა. ყურადღებით უნდა შეისწავლოთ იგი და უპასუხოთ კითხვებს.

დავალება ამოწმებს - რუკის ლეგენდის გამოყენებას, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირებას, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრას; ადგილის დახასიათებას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზს; რუკის მიხედვით კონკრეტული ამოცანების ამოხსნის უნარი. საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუშები იხილეთ 2020 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების IV ტიპი

- ინფორმაციის ანალიზი

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია (ტექსტი, რუკა, სურათი, ნახაზი, გრაფიკი, ცხრილი და ა.შ.). მათი ანალიზის საფუძველზე აპლიკანტმა უნდა უპასუხოს მოცემულ კითხვებს.

დავალებაში შეიძლება მოცემული იყოს ტექსტი, ფოტო, რუკა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა და სხვა თვალსაჩინოება, რომელშიც მოცემულია გარკვეული გეოგრაფიული ინფორმაცია. მოგეთხოვებათ მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაცია (მაგ.; ცხრილის საშუალებით მოცემული ინფორმაციის გამოხატვა გრაფიკულად) და ანალიზი. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილზე (მაგ.; თუ დავალების პირობისთ მოთხოვნილი იქნება დიაგრამის ან გარფიკის აგება, მაშინ პასუხების ფურცელში მოცემული იქნება საკოორდინატო სისტემის მატრიცა, რომელზეც უნდა ააგოთ გრაფიკი/დიაგრამა).

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის ცოდნის, ინფორმაციის გაგების, მისი ინტერპრეტაციის, სხვა და სხვა ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირების, დასკვნების, პროგნოზირების გაკეთებისა და არგუმენტაციის უნარს.

რუკის კითხვის, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების კითხვისა და შედგენის, მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარს; კონკრეტული გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრის; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუშები იხილეთ 2020 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.



ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდლო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-16.


ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რამ შეუქმნა 2016 – 2018 წლებში დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობას პრობლემა?

- ა) გაზაფხულზე გახშირებულმა სეტყვამ;
- ბ) აფრიკული კუტკალიის შემოსევამ;
- გ) აზიური ფაროსანას შემოსევამ;
- დ) ზამთარში ანომალურმა ყინვებმა.

2. რისი რუკაა მოცემული?



- ა) მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის;
- ბ) მზიანი დღეების რაოდენობის;
- გ) კლიმატური ოლქებისა და ქვეოლქების;
- დ) მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური სტრუქტურის.

3. მეცხოველეობის რომელი დარგის სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი ცხრილში?


სულადობა რეგიონების მიხედვით (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)			
	2016	2017	2018
საქართველო	875.9	855.9	819.1
იმერეთი	27.4	19.6	15.7
კახეთი	482.0	499.8	496.8
მცხეთა-მთიანეთი	61.7	45.4	58.2
სამცხე-ჯავახეთი	71.8	70.7	56.0
ქვემო ქართლი	203.7	193.4	167.3
შიდა ქართლი	22.0	20.7	18.7
დანარჩენი რეგიონები	7.4	6.2	6.5

- ა) მესაქონლეობის;
- ბ) მეღორეობის;
- გ) მეფრინველეობის;
- დ) მეცხვარეობის.

4. რომელი ქარები სუსტდება და ზოგჯერ წყდება კიდევ წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. „ელ-ნინოს“ მოქმედების პერიოდში?

- ა) მუსონები;
- ბ) პასატები;
- გ) დასავლეთის ქარები;
- დ) ბრიზები.

5. რომელ ილუსტრაციაზეა მოცემული სამხრეთ ნახევარსფეროში ჩამოყალიბებული ციკლონის სქემა?



6. თუ თვითმფრინავი მიუყვება დ.გ. 90° -ს და არ იცვლის მოძრაობის კურსს, რომელ გრძედზე აღმოჩნდება ის ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენის შემდეგ?

ა) ა.გ. 0° ;

ბ) ა.გ. 45° ;

გ) ა.გ. 90° ;

დ) ა.გ. 180° .

7. რომელი დანალექი ქანის მეტამორფიზმის შედეგად წარმოიქმნება მარმარილო?

ა) კირქვის;

ბ) ქვიშაქვის;

გ) თიხის;

დ) ქვანახშირის.

8. ჩამოთვლილთაგან რომელი იქცა XXI საუკუნეში ახალ გლობალურ პრობლემად?

ა) სასმელი წყლის დეფიციტი;

ბ) კიბერდანაშაული;

გ) გარემოს დაბინძურება;

დ) სურსათის დეფიციტი.

9. რომელი ოკეანის შეღვის ათვისებაა აქტუალური კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად განვითარებული სახელმწიფოებისთვის?



ა) წყნარი;

ბ) ინდოეთის;

გ) ჩრდილოეთი ყინულოვანის;

დ) სამხრეთის.

10. რა ეწოდება იზოხაზებს, რომლებიც გამოყენებულია მოცემული რუკების ფრაგმენტებზე?



- ა) იზობარი;
- ბ) იზოთერმი;
- გ) იზობათი;
- დ) იზოჰიეტა.

11. ჩამოთვლილთაგან რომელ დინებას გადააქვს ყველაზე მეტი მოცულობის წყალი ოკეანეში?

ა) ჩრდილოეთის პასატურს;

ბ) გოლფსტრიმს;

გ) დასავლეთის ქარების;

დ) კუროსიოს.

12. რა ტიპის საზღვაო ხომალდის კატასტროფაა ეკოლოგიური ზიანის უფრო მაღალი რისკის შემცველი?

ა) ლაინერის;

ბ) იახტის;

გ) ბულკერის;

დ) ტანკერის.

13. რომელი სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას მიგრაციული პროცესები?

ა) საქართველოს;

ბ) ჩრდილოეთი კორეის;

გ) რუსეთის;

დ) გაერთიანებული სამეფოს.

14. რომელი რეგიონისთვის იქცა მიგრაციული პროცესები ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით მწვავე პრობლემად?

ა) ევროპის;

ბ) სამხრეთი ამერიკის;

გ) ავსტრალიის;

დ) ოკეანეთის.

15. რის გამო წარმოიშვა უთანხმოება ევროპის ქვეყნებს შორის, გაზსადენის პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადთან“ დაკავშირებით?

ა) რუსეთის ფაქტორის;

ბ) პროექტის სიძვირის;

გ) ეკოლოგიური უსაფრთხოების;

დ) საქართველოს ფაქტორის.

16. რომელი სახელმწიფოს მეთაური არ არის პრეზიდენტი?

ა) მექსიკის;

ბ) საქართველოს;

გ) ავსტრალიის;


დ) გერმანიის.

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 17-22

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

17. დაადგინეთ შესაბამისობა კლიმატურ დიაგრამასა და ქალაქს შორის (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):









18. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	ძველი სახელწოდება		ახალი სახელწოდება
ა	პორტუგალიური სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა	1	ზიმბაბვე
ბ	აბისინია	2	ეგვიპტე
გ	სპილოს ძვლის ნაპირი	3	ანგოლა
დ	ოქროს ნაპირი (ბრიტანეთის ოქროს ნაპირი)	4	ეთიოპია
ე	სამხრეთ როდეზია	5	კოტ დი ვუარი
		6	განა

19. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა არ არის შესაძლებელი):

	განმარტება		ტერმინი
ა	მყარი მასალისგან აგებული მდინარის შესართავთან წარმოქმნილი აკუმულაციური ვაკე, რომლის ფარგლებშიც კალაპოტი მრავალ ტოტად იქსელება.	1	ესტუარი
ბ	მყინვარით დამუშავებული და შემდგომ ზღვაში დაძირული ვიწრო, ღრმა ყურე, მაღალი, ციცაბო და კლდოვანი ფერდობებით.	2	ჭორომი
გ	ჰორიზონტალური ან ოდნავ დახრილი ზედაპირი, რომელიც ხეობის ფერდობზე, ზღვის ან ტბის ნაპირზე საფეხურს ქმნის.	3	დელტა
დ	მდინარის ხეობის შედარებით ბრტყელი მონაკვეთი, მოფენილი თანამედროვე ალუვიონით, რომელიც წყალდიდობების დროს იტბორება.	4	ჩანჩქერი
ე	ვიწრო ყურე ან დიდი მდინარის ერთტოტიანი ძაბრისებრი შესართავი.	5	ჭალა
		6	ფიორდი
		7	ტერასა

20. დაადგინეთ შესაბამისობა ვულკანსა და სახელმწიფოს შორის, სადაც ის მდებარეობს (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

<p>ა)</p>  <p>კრაკატაუ (813 მ.)</p>	<p>ბ)</p>  <p>კილიმანჯარო (5895 მ.)</p>	<p>გ)</p>  <p>ფუძიამა (3776 მ.)</p>				
<p>დ)</p>  <p>ეტნა (3326 მ.)</p>	<p>ე)</p>  <p>კილაუეა (1247 მ.)</p>	<p>ვ)</p>  <p>ჰეკლა (1488 მ.)</p>				
1. იაპონია	2. ისლანდია	3. იტალია	4. ტანზანია	5. აშშ	6. კენია	7. ინდონეზია



➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 23-27

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

23. (2 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს.

დიაგრამებზე ნაჩვენებია მონაცემები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორისათვის:



23.1. (1 ქ.) ეკონომიკის რომელი სექტორის მონაცემებია ნაჩვენები დიაგრამებზე?

23.2. (1 ქ.) განსაზღვრეთ, რა ინფორმაციაა ასახული მეორე დიაგრამაზე.

24. (3 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის, ორ სახელმწიფოში ნავთობის საბადოები აღმოაჩინეს. ეს ფაქტორი მათი განვითარების წინაპირობა უნდა გამხდარიყო, თუმცა დღეს ეს ორი სახელმწიფო განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფება. ერთი თავისი კონტინენტისა და მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოებს შორისაა ცხოვრების დონითა და დემოკრატიის ხარისხით, ხოლო მეორეში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია კრიტიკულია და რეგიონისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა ნაწილთან პოლიტიკურ დაპირისპირებაშია.

24.1. (2 ქ.) რომელ ორ სახელმწიფოზეა საუბარი ტექსტში?

24.2. (1 ქ.) რამ განაპირობა ამ ორ სახელმწიფოში არსებული რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა?


ა) აშშ-სთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ;

ბ) რუსეთთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ;

გ) სახელმწიფოებში გატარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კურსმა;

დ) ოპეკ-ის მიერ გატარებულმა კვოტების პოლიტიკამ.

25. (7 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



- 25.1. (1 ქ.) რა იყო რუკაზე აღნიშნული ექსპედიციების მთავარი მიზანი?
- 25.2. (2 ქ.) ვინ იყვნენ ამ ექსპედიციების ხელმძღვანელები?
- 25.3. (1 ქ.) რომელი ექსპედიციის წევრებმა მიაღწიეს პირველებმა დანიშნულების ადგილამდე?
- 25.4. (2 ქ.) დაასახელეთ წარუმატებელი ექსპედიციის მარცხის მთავარი მიზეზები.
- 25.5. (1ქ.) რომელ შელფურ მყინვარზე გადიოდა ორივე ექსპედიციის მარშრუტის ჩრდილოეთის მონაკვეთი?

26.(4 ქ.) გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

2017 წელი	ფართობი (ათასი კმ ²)	მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	მშპ (მლნ. ლარი)	სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მლნ. ლარი)
აჭარა	2,9	343,0	150,4	2 881	145
გურია	2,03	111,5	79,7	653	116
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4,6	30,8	23,8	165	30

26.1. (1 ქ.). რომელ რეგიონშია მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი?

26.2. (1 ქ.). რომელ რეგიონშია ურბანიზაციის ყველაზე დაბალი დონე?

26.3. (1 ქ.). რომელ რეგიონშია მშპ-ს რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე უფრო მეტი?

26.4. (1 ქ.). რომელი რეგიონის მშპ-შია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყველაზე დაბალი წილი?

27. (10 ქ.) გაანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

აპალაჩები

აპალაჩები გადაჭიმულია სუბმერიდიანულად ჩრდილოეთი ამერიკის კონტინენტზე ატლანტისპირა ვაკე-დაბლობების გაყოლებით 2600 კმ-ზე. აქ გამოყოფენ ორ ძირითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ აპალაჩების ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქს.


აპალაჩების ჩრდილოეთი ნაწილი ძირითადად გორაკ-ბორცვიანი ზეგნებია, სადაც აღმართულია ცალკეული ლოდა მასივები და დაბალი მთები (ადრონდაკი, მწვანე და თეთრი მთები). აპალაჩის მთებში არ არის მყინვარები, მაგრამ გვხვდება რელიეფის ისეთი ფორმები, როგორებიცაა კარი (Kar) და ტროგი (Trough).

სამხრეთში შედარებით მაღალი მთებია. დასავლეთ მთისწინეთს ქმნის აპალაჩის პლატო, რომელიც სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი პალეოზოური დანალექი წყებებითაა აგებული. აქ ზეგნები დანაწევრებულია ვიწრო და ღრმა ხეობებით. სამხრეთ აპალაჩების ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეა მდ. ოჰაიოს შენაკადი მდ. ტენესი, რომელზეც 40-ზე მეტი ჰესი ფუნქციონირებს.

ჰავა სამხრეთ აპალაჩებში სუბტროპიკულია - მთავარი წყალგამყოფის აღმოსავლეთით შერწყმულია ოკეანური და მუსონური ნიშნები, სადაც მშრალი სეზონი არ არის გამოხატული; დასავლეთით კი გავრცელებულია ზომიერად კონტინენტური ჰავის ოლქი. ზამთარში 700 მ-ზე მაღლა მნიშვნელოვანი სისქის თოვლის საფარი წარმოიქმნება. ზაფხულში კი იცის ინტენსიური წვიმები. დაბალმთიან ზონაში 600-800 მ-მდე გავრცელებულია „აპალაჩის ტყე“, რომელიც სახეობების მრავალფეროვნებით ერთ-ერთი უმდიდრესია ფართოფოთლოვან ტყეთა შორის.

აპალაჩის რეგიონში (კენტუკის შტატში) მდებარეობს ეროვნული პარკი, რომელიც 1981 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ხოლო 1990 წლიდან მსოფლიოს ბიოსფერული რეზერვატების სიაში შედის.

[გადასვლა დავალების: მეორე გვერდზე; მესამე გვერდზე; მეოთხე გვერდზე; მეხუთე გვერდზე](#)



რუკა.1.

გადასვლა დავალების:
პირველ გვერდზე;
მესამე გვერდზე;
მეოთხე გვერდზე;
მეხუთე გვერდზე

რუკა 2.







ფოტო 1.



გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#); [მეორე გვერდზე](#); [მეოთხე გვერდზე](#); [მეხუთე გვერდზე](#)

27.1. (1 ქ.) რომელი კლიმატური დიაგრამა შეესაბამება ქ. ფილადელფიას?

გადასვლა დავალების: [პირველ გვერდზე](#); [მეორე გვერდზე](#); [მესამე გვერდზე](#); [მეხუთე გვერდზე](#)



27.2. (1 ქ.) საიდან მომდინარეობს ტოპონიმი აპალაჩი?

- ა) აღნიშნული მთების ამერიკელი მკვლევრის გვარიდან;
- ბ) მკვიდრი მოსახლეობის ერთ-ერთი ტომის სახელწოდებიდან;
- გ) მთებში გავრცელებული ენდემური მცენარის სახელწოდებიდან;
- დ) მთებში ბინადარი რელიქტური ფრინველის სახელწოდებიდან.

27.3. (1 ქ.) ჩრდილოეთ აპალაჩის კლიმატი უფრო მკაცრია, დასავლეთ ევროპის შესაბამის განედებში მდებარე ტერიტორიების კლიმატთან შედარებით. დაასახელეთ აღნიშნული გარემოების გამომწვევი მთავარი გეოგრაფიული ფაქტორი.

27.4. (1 ქ.) დაასახელეთ აპალაჩის მთების უმაღლესი მწვერვალი.

27.5. (1 ქ.) ზღვის დონიდან სიმაღლის მატების მიხედვით თანმიმდევრულად ჩამოთვალეთ აპალაჩის მთებში გავრცელებული ლანდშაფტები (ბუნებრივი ზონები).

27.6. (2 ქ.) რომელი ბუნებრივი რესურსის აუზია ნაჩვენები რუკა 1-ზე და ძირითადად რომელი შტატების ფარგლებშია მოქცეული აღნიშნული აუზი?

27.7. (2 ქ.) დაასახელეთ ტექსტში ნახსენები ეროვნული პარკის სახელწოდება და გეოგრაფიული ობიექტი, რის გამოც იგი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

27.8. (1 ქ.) ახსენით, რამ განაპირობა აპალაჩის მთებში რელიეფის ისეთი ფორმების გავრცელება, როგორებიცაა ტროგი და კარი.

[გადასვლა დავალების: პირველ გვერდზე; მეორე გვერდზე; მესამე გვერდზე; მეოთხე გვერდზე](#)

➤ რუკის ანალიზი - დავალება № 28

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (5 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

28.1. (1 ქ.) დაახლოებით რამდენი მეტრია მ. ჯიმუს აბსოლუტური სიმაღლე?

ა) 192 მ.

ბ) 212 მ.

გ) 232 მ.


დ) 252 მ.

28.2. (1 ქ.) ახსენით, როგორი წარმოშობისაა ტბა ხუმრა.

28.3. (1 ქ.) გამოთვალეთ მდ. ლაქლას ვარდნა (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი).

28.4. (1 ქ.) ახსენით, მდ. სოთას რომელი შენაკადია მდ. ჩუმი, მარცხენა თუ მარჯვენა.

28.5. (1 ქ.) ტოპოგრაფიულ რუკაზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ახსენით, რას შეიძლება აწარმოებდნენ სოფ. სურების მიდამოებში (აღმოსავლეთით) მდებარე ქარხნებში.





•213,8 •212,8
 მ III,9 170,0
 16

რელიეფი

- ბირთვლი პორიზონტალუბი გავლებულია ყოველ 10 მეტრში
- ა) ძირითადი პორიზონტალუბი
- ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალუბი
- გ) დამატებითი პორიზონტალუბი (ნახევრადპორიზონტალუბი)
- დ) პორიზონტალუბის სიმაღლის ნიშნულუბი მ-ში
- ე) კალთის დახრის მანვენებლები (ბერეშტრისებუბი)

სიმაღლის ნიშნულუბი ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი

სიმაღლის ნიშნულუბი ორიენტირებუბი

- ა) ცალკე მდგომი ქეუბი
- ბ) ქუთაგროვა

ყორღანუბი ორმომუბი

ფლატე (ბექი) (16-ხრამის სიდრმე მ-ში)


ხრამუბი და დარტაფუბი

მცენარეული საფარი და ბრუნტი




წიწყოვანი ტყე
 ფართოფოთლოვანი ტყე
 შერეული ტყე
 ხემცენარეუბის მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე, 0,20-მერქნის საშუალო სისქე, 6-ხეუბს შორის საშუალო მანძილი
 ტყის ვიწრო ზოლები და დაცვიითი ტყის ნარგავეუბი (2- ხეუბის საშუალო სიმაღლე მ-ში)
 ცალკეული კორომუბი
 ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეუბი: ა) წიწყოვანი ბ) ფართოფოთლოვანი
 ახალგაზრდა წიწყოვანი (წერიღნაზარდი) ტყე
 ახალი ტყის ნარგავეუბის სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეუბის საშუალო სიმაღლე მ-ში)
 ა) ქარქვეული ტყე ბ) მენხერი ტყე
 ა) განეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხმარი ხეუბი
 განანეხი ტყეში
 4 განანეხის სიგანე მ-ში
 ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებუბი; ბ) სშირი ბუჩქნარი
 ა) მდელის მცენარეულობა
 ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი
 ხეხილის ბადი
 ქვიშნარი
 გაუყვალი და მწელადგასაველეი ჭაობუბი (0,7-ჭაობის სიდრმე მ-ში)
 ადვილადგასაველეი ჭაობუბი

საბზარო მხალი



ორლიანდაგაიანი რკინიგზა, სადგურუბი
 ერთლიანდაგაიანი რკინიგზა ბაქნეუბი, გზაგასაყარუბი
 მიწყერილებზე (ა) და წადრმავეუბში (ბ) გაყვანილი რკინიგზუბი (2-სიმაღლე ან სიდრმე მ-ში)
 ვიწროლიანდაგაიანი რკინიგზა
 გაუშჯობეხეუბული გზატკეცილი (13-დაგეუბული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიადერეუბს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა) (ა-ასფალტი, ქვ-ქვაყენილი)
 გზატკეცილი
 გაუშჯობეხეუბული გრუნტის გზუბი გასწვრივი მცენარეული ნარგავეუბი
 გრუნტის გზუბი
 მინდღრის და ტყის გზუბი
 ზამთრის გზუბი
 ფინხფენილი (ჭაობზე გადასახველად)
 რკინიგზაზე გადამავეილი გზატკეცილები


დასახლებული პუნქტუბი და მათი წარწერები ცალკეული შემოზა-ნაბეზოზაბი




საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობუბი
 გამორჩეულად ცვეხლგამძლე ნაგებობუბი ცალკე მდგომი კარმიდამოუბი ეკლესიუბი
 კვარტლუბი
 ცვეხლგამძლე ნაგებობუბის სიჭარბით
 არაცვეხლგამძლე ნაგებობუბის სიჭარბით
 ქალაქუბი - 2000-დან 10 000-მდე მცხოვრებუბი
 დაბუბი - 2000-ზე ნაკლები მცხოვრებუბი
 სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით
 სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით
 ცალკეული ალგილ(ობრიზი ნაბეზ(ობეზი

ქარხნუბი და ფაბრიკუბი

მოქმედი მადაროუბი
 სასარეულო წიადისეულის მოპოვების ადვილები თიხ- მოპოვებული მახალა, 10 - კარიერის სიდრმე მ-ში
 ტორფის მოპოვება
 საწყავის საწყობუბი
 რადიანამუბი და სატელევიზიო ანმუბი
 წყლის წისქვილები




- ქარის წისქვილები
- საფურტრეუბი
- ანძის ტიპის ნაგებობუბი
- მეტყევის სახლები
- სატელევიზიო სადგურუბი
- მეტყორლოგოური სადგურუბი
- ღირშესანიშნაიი ძეგლები



სახაფლაოუბი
 კავშირგაბმელობის ხაზუბი
 ხის საყრდენებიაიი ელექტროგადამცემი ხაზუბი

კომორ(ობრაფიი)



მდინარეუბი, ნაკადულები, ტბეუბი
 შრობადი ნაკადუბი
 წყლის კიდის ნიშნულუბი
 ისრუბი უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0,4-დინების სიქარე მ/წმ)
 მდინარეუბის მახასიათებლები: 285-სიგანე და 4,8 სიდრმე მ-ში; ქ - ფსკერის გრუნტის ტიპი
 ფონებუბი და მათი მახასიათებლები: 0,5 სიდრმე და 17 სიგრძე მ-ში, ქფსკერის გრუნტის ტიპი, 0,1 - დინების სიქარე მ/წმ
 ბორნეუბი: 285 - მდინარის სიგანე, 5X4-ბორნის ზომუბი მეტრებში, 5 - ტვირთამწყობა ტონებში
 ხის ხიდუბი
 რკინის ხიდუბი
 ქვის და რკინაბეტონის ხიდუბი
 ხიდუბის მახასიათებლები: ქვა-სამშენებლო მახალა, 8 სიმაღლე წყლის დონიდან, 170 - ხიდის სიგრძე, 8 -სავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 50 - ტვირთამწყობა ტონებში
 სანაპირო სამდინარო სიგნალიზაციის მუღმიუბი ნიშნულუბი
 ნავსაყუდეიი კაშხლები
 ჭყუბი
 ქარის მრავიაიი ჭყუბი
 წყაროუბი

△ 198,4
 ☆ 159,7

